



## ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა


### ნაწილი 7: წახალისება, მათ შორის საჩუქრები და სტუმარმასპინძლობა



ზოგიერთ კულტურაში საჩუქრების გაცვლა და სტუმარმასპინძლობა შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს საქმიანი ურთიერთობების დასამყარებლად და განსამტკიცებლად. თუმცა, ზემოაღნიშნულმა და სხვა სახის წახალისებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას პროფესიონალი ბუღალტრის უნარს, იმოქმედოს ობიექტურად და პატიოსნად. საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე პროფესიული ქცევის პრინციპის დასაცავად აუცილებელია სათანადო კონტროლი და დაბალანსება.

#### რა არის წახალისება?

ბესს-ის ეთიკის კოდექსის თანახმად, წახალისებაში იგულისხმება ყველაფერი, რაც გამოიყენება სხვა პირის ქცევაზე ზემოქმედების მიზნით. ზოგჯერ ასეთი ქმედება მხოლოდ ბუნებრივი საქმიანი ურთიერთობის ნაწილია, მაგრამ სხვა შემთხვევაში, მისი მიზანი შეიძლება იყოს მიზანშეუწონელი ზემოქმედება სხვა პირზე, არაეთიკურ ქცევაზე მისი დაყოლიების მიზნით. წახალისება შესაძლოა მრავალნაირი იყოს – დაწყებული კოლეგებს შორის ჩვეულებრივი, ტრადიციული სტუმართმოყვარეობის გამოჩენით და ისეთი უკანონო ქმედებებით დამთავრებული, როგორცაა მოსყიდვა/მოქრთამვა. ამ ნაწილში ჩვენ ვიკვლევთ წახალისების ისეთ სახეებს, რომლებიც არ არღვევს ადგილობრივ კანონმდებლობას (როგორც ეს განხილულია კოდექსის კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებულ დებულებებში).



ჩვენ წახალისებაში ხშირად მოვიაზრებთ ფულად ღირებულებას, თუმცა იგი შეიძლება გულისხმობდეს შეღავათიანი პირობების შეთავაზებასაც ან თუნდაც თხოვნას მეგობრობის ან ერთგულების მოტივით. ის ფაქტი, რომ წახალისება არ უკავშირდება ფულს, თავისთავად/ყოველთვის არ ამცირებს შექმნილი საფრთხის დონეს.

#### **!** ოჯახთან დაკავშირებული საკითხები

პროფესიონალ ბუღალტრებს მოეთხოვებათ, სიფრთხილე გამოიჩინონ ისეთი საფრთხეების მიმართ, რომლებიც შეიძლება შეიქმნას უშუალოდ ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების მიერ ან მათთვის შეთავაზებული წახალისების შედეგად. მაგალითად, პროფესიონალი ბუღალტრის მეუღლეს შეიძლება დამკვეთმა შესთავაზოს სამსახური. თუ არსებობს ქცევაზე მიზანშეუწონელი გავლენის მოხდენის რეალური განზრახვა ან შეთავაზება ამგვარად აღიქმება, ბუღალტერი ვალდებულია ოჯახის წევრს ურჩიოს, არ შესთავაზოს ან არ მიიღოს ასეთი წინადადება.


## წახალისება მიზანშეუწონელი განზრახვით

მაშინაც კი, თუ წახალისება არ არღვევს ადგილობრივ კანონმდებლობას, პროფესიონალი ბუღალტერი მაინც ვერც სხვას შესთავაზებს და ვერც თვითონ მიიღებს წახალისებას, თუკი განზრახვა მიზანშეუწონელი გავლენის მოხდენაა ქვეყანაში ან არაეთიკური ქმედებისკენ წაქეზება (წახალისების მიმღების ან სხვა პირის). ამის გაკეთება ეწინააღმდეგება პროფესიონალი ბუღალტრის პატიოსნების მოთხოვნას. ანალოგიურად, პროფესიონალი ბუღალტერმა არ უნდა წააქეზოს სხვები, რომ მიიღონ ან ვინმეს შესთავაზონ მიზანშეუწონელი წახალისება.

## რა შეიძლება ითქვას წახალისების შესახებ, რომლის განზრახვა არ არის მიზანშეუწონელი?

როდესაც შეთავაზების მიზნები არ არის მანებელი ხასიათის (ანუ არ არსებობს ქვეყანაში მიზანშეუწონელი გავლენის მოხდენის რეალური ან ამგვარად აღქმადი განზრახვა), ძირითადი პრინციპების დაცვას შეიძლება მაინც შეექმნას საფრთხე (მაგალითად, პროფესიონალი ბუღალტრის ობიექტურობას შესაძლოა დაემუქროს ანგარების საფრთხე).

თუ წახალისება ტრივიალური და უმნიშვნელოა, საფრთხის დონე, როგორც წესი, მისაღები იქნება, მაგრამ პროფესიონალი ბუღალტერმა უნდა შეაფასოს საფრთხე, ხოლო თუ საფრთხე არ არის მისაღები დონის, უარი ითქვას შემოთავაზებაზე ან გაატაროს დამცავი ზომები. შესაფერისი დამცავი ზომები შეიძლება იყოს საჩუქრის გამცემისთვის საჩუქრის ღირებულებების ანაზღაურება, ორგანიზაციაში შესაბამის დონეზე საჩუქრის ფაქტის გამჟღავნება, საჩუქრის გაზიარება კოლეგებისთვის ან საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის გადაცემა.




კრიზისის დროს საჭიროა სწრაფი გადაწყვეტილების მიღება, რამაც შეიძლება სირთულეები გამოიწვიოს იმ ეფექტური კონტროლისა და ბალანსის შენარჩუნების თვალსაზრისით, რომელიც უზრუნველყოფს შეუსაბამო წახალისების გარემოებებისგან დაცვას. შესაძლოა აუცილებელი გახდეს დამატებითი დამცავი ზომების გატარება იმისთვის, რომ არაკეთილსინდისიერმა პირებმა ვერ შეძლონ კრიზისული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

## ქვემოთ მოცემული მაგალითიდან განსაზღვრეთ, მიზანშეუწონელია თუ არა განზრახვა


სპირტსახდელი ქარხნის ფინანსურმა დირექტორმა დაიქირავა პროფესიონალი ბუღალტერი საგადასახადო მომსახურების გასაწევად. ფინანსური დირექტორი აპირებს გარიგების გუნდისთვის მოსაწვევების შეთავაზებას ღონისძიებაზე, რომელიც უნდა გაიმართოს მომხმარებელთა პატიოსანებად, სადაც შეზღუდული გამოშვების ვისკის ბოთლს საჩუქრებად გასცემენ.

**სად მივიღებთ დამატებით ინფორმაციას?**



კოდექსის იმ განყოფილებებისთვის, რომლებიც პირველ გვერდზეა გამოყოფილი, ბესს-ის თანამშრომლებმა მოამზადეს დიაგრამები, რათა დაეხმარონ პროფესიონალ ბუღალტრებს, გააანალიზონ მათთვის ან მათ მიერ შეთავაზებული წახალისების მაგალითები – **1-ლი დანართი**; თავიანთი ოჯახის ახლო ნათესავებისთვის ან მათ მიერ სხვებისთვის შეთავაზებული წახალისების მაგალითები - **მე-2 დანართი**; და ასევე საჩუქრებისა და სტუმარმასპინძლობის მაგალითები, რომლებიც შემოთავაზებული იყო აუდიტის ან მარწმუნებელი გარიგების დამკვეთის მიერ - **მე-3 დანართი**.

[www.IESBAeCode.org](http://www.IESBAeCode.org)-ზე თქვენ იხილავთ eCode-ს - ონლაინ რესურსს, რომელიც განკუთვნილია ბუღალტერთათვის და ასევე კოდექსის სხვა მომხმარებლებისათვის. იგი იძლევა კოდექსზე სწრაფად და ეფექტურად წვდომის საშუალებას, რაც ამარტივებს მის მოხმარებასა და პრაქტიკაში დანერგვას/გამოყენებას.



## როგორ შეუძლია პროფესიონალ ბუღალტერს განზრახვის დადგენა?

პროფესიონალი ბუღალტერმა უნდა გამოიყენოს პროფესიული განსჯა და სიტუაცია განიხილოს გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის პოზიციიდან იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ქვეყანაში მიზანშეუწონელი გავლენის მოხდენის მცდელობა. დასკვნის გამოსატანად შესაფერისია შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა:

- რა როლები და პოზიციები აქვთ პროცესში ჩართულ პირებს?
- დროის მონაკვეთი, რომელსაც ეხება შეთავაზება იმ ქმედების ან გადაწყვეტილების მიღების დროსთან შედარებით, რომელზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს ამ შეთავაზებამ?
- წახალისების შეთავაზება მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღები პირისკენაა მიმართული თუ უფრო ფართო ჯგუფისთვისაა განკუთვნილი?
- რა ღირებულებისაა საჩუქარი, სტუმარმასპინძლობა ან სხვა სახის წახალისება?
- წახალისება გამჭვირვალედ არის შემოთავაზებული თუ ფარულად?


იმის დასადგენად, მისაღებია თუ არა სპირტსახდელი ქარხნის მაგალითში აღწერილი წახალისება, ფინანსურმა დირექტორმა და პროფესიონალი ბუღალტრის ფირმამაც უნდა შეაფასონ შეთავაზების განზრახვა. მაგალითად:

- შეთავაზების დროს თვალსაზრისით – მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ გარიგების დასრულების შემდეგ მადლიერების ნიშნად ვისკის ბოთლების საჩუქრად მიღება შეიძლება მისაღები იყოს, ხოლო იგივე საჩუქარი გარიგების მსვლელობის პროცესში შეიძლება არ იყოს მისაღები;
- ღირებულების თვალსაზრისით – ეს ღონისძიება და ვისკის ბოთლი ფინანსური წახალისება პროფესიონალი ბუღალტრების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად თუ პროფესიონალი ბუღალტრები ამ ღონისძიებაზე მოწვეული არიან კომპანიის წამყვანი თანამშრომლებისა და კომპანიის საქმიანობის გასაცნობად?

## საფრთხის გამოვლენა, შეფასება და მასზე რეაგირება

თუ მივიჩნევთ, რომ ქვეყანაში მიზანშეუწონელი გავლენის მოხდენის მცდელობას (პოტენციურ მცდელობას) არ აქვს ადგილი, როგორც ფინანსურმა დირექტორმა, ისე ფირმამაც უნდა შეაფასოს, საჩუქარი და სტუმარმასპინძლობა საფრთხეს უქმნის თუ არა ძირითადი პრინციპების დაცვას - განსაკუთრებით ობიექტურობას, პატიოსნებასა და პროფესიულ ქვეყანას.

იმ საფრთხეებთან მიმართებით, რომლებიც მიიჩნევა, რომ მისაღებ დონეზე მაღალია, შეიძლება მაგალითად შემდეგი დამცავი ზომების გატარება:

- 
  - საჩუქრების შესახებ ინფორმაცია შეიტანონ გარიგების ფაილში სრული გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად;
  - გუნდმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებაში კომპანიის საქმიანობის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად, მაგრამ არ მიიღოს საჩუქრად ვისკის ბოთლი.

მარწმუნებელი გარიგების შემთხვევაში, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი ვერ მიიღებს საჩუქარს ან რაიმე ფორმით გამოხატულ სტუმარმასპინძლობას, ფინანსური დირექტორის განზრახვის მიუხედავად, თუ წახალისება არ არის იმდენად მცირე, რომ მიჩნეული იყოს ტრივიალურად და უმნიშვნელოდ.




International Federation of Accountants®

529 Fifth Avenue, New York 10017  
www.ifac.org | +1 (212) 286-9344 |

 @ifac |  company/ifac



International Ethics Standards Board for Accountants®

www.ethicsboard.org  
 @ethics\_board |

 company/iesba

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 7: „წახალისება, მათ შორის საჩუქრები და სტუმარმასპინძლობა“ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე ან მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 7: წახალისება, მათ შორის საჩუქრები და სტუმარმასპინძლობა“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 7: „წახალისება, მათ შორის საჩუქრები და სტუმარმასპინძლობა“ - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: Exploring the IESBA Code Installment 7 – Inducements, Including Gifts and Hospitality

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: [Permissions@ifac.org](mailto:Permissions@ifac.org)